



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 19 თებერვალი

**დისციპლინური საქმე №191/19-2  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

--- 2019 წლის 21 ნოემბრის №191 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის №--/-- -03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ --- 2019 წლის 21 ნოემბრის №191 საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

**1. საჩივრის (საჩივრების) ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე --- განიხილა მისი კერძო საჩივარი, რითაც სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

საჩივრის ავტორის თქმით, აღნიშნულით მოსამართლე --- წინასწარი შეცნობით არ შეასრულა კანონის მოთხოვნები.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2018 წლის 13 მარტს --- სარჩელით მიმართა --- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმძღვანელო რეგულირების სააგენტოს და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიმართ, გადაწყვეტილების გაუქმების, ქმედების განხორციელების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დადგენის მიზნით.

--- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის --- 2018 წლის 30 მარტის განჩინებით, --- უარი ეთქვა მეხუთე სასარჩელო მოთხოვნის წარმოებაში მიღებაზე, რომელიც შეეხებოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამართალდამრღვევად ცნობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო.

--- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის --- 2018 წლის 30 აპრილის განჩინებით, --- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა --- საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მარტის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საჩივრის ავტორი მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტთან მიმართებაში მიუთითებს 2018 წლის 30 აპრილის განჩინებაზე, რითაც საჩივრის ავტორს უარი ეთქვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, მოსამართლის განჩინების შეფასება, რაც ერთმნიშვნელოვნად მოიცავს სასამართლოს მსჯელობას, მტკიცებულება გაზიარება/არგაზიარების საკითხებს და შეფასებებს, წარმოადგენს კანონიერების სფეროს, რაც ვერ გახდება დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინების კანონიერებაზე და დისციპლინური კუთხით შეაფასოს სასამართლოს განჩინება.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, მოსამართლე -- -- მიმართ არ გამოიკვეთა 2019 წლის 21 ნოემბრის №191 საჩივარში მითითებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

დისციპლინურ საქმეზე №191/19-2 მოსამართლე ---- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**